ორი ქვეყნის სადავო არტეფაქტები

გზამკვლევი

განათლების ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ სახლი



მოამზადა თათია ბარბაქაძემ

დიზაინი ხათუნა ციხელაშვილი

2024 წელი

საფეხური: საბაზო

რესურსის მიზანი: კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარება.

სავალდებულო თემატური ბლოკი: საზოგადოება და ხელოვნება

მეთოდი: რესურსში გამოყენებულია კონსტრუქტივისტული სწავლებისა და დისკუსიის (დებატების) მეთოდები.

რესურსის მოსალოდნელი შედეგი: კულტურული მემკვიდრეობის განსხვავებული რაკურსით აღქმა. მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებულად მსჯელობის უნარის განვითარება.

გაკვეთილის თემა ძველბერძნულ ხელოვნებას შეეხება. მასწავლებლის მიზანია მოსწავლეებს დაეხმაროს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არგუმენტირებულად მსჯელობასა და იმის გააზრებაში, რომ ხელოვნების ნიმუშების ისტორია მათი შექმნით არ სრულდება და რომ ნამუშევრების შესახებ ამბები დროში განგრძობადია. ამ ფაქტის დასადასტურებლად მასწავლებელი მოსწავლეებს გაკვეთილის თემად პართენონის რელიეფების თავგადასავალს სთავაზობს. თუმცა სანამ კლასში პართენონის რელიეფების შესახებ დისკუსია მოეწყობა, იქამდე საჭიროა, რომ მოსწავლეებს ძველი ბერძნული ხელოვნების შესახებ წინარე ცოდნა გაუაქტიურდეთ.

გაკვეთილის მსვლელობა:

ნაბიჯი 1

წინარე ცოდნის გააქტიურება: სადისკუსიო მეთოდის გამოყენებამდე მნიშვნელოვანია წინარე ცოდნის გააქტიურება, რომელსაც მთლიანი გაკვეთილი უნდა დაეთმოს. მასწავლებელი სანამ მოსწავლეებს საკითხავ მასალას, "პართენონის მხატვრული და ისტორიული ღირებულება", დაურიგებს იქამდე საჭიროა დაუსვას შემდეგი კითხვები: რა იციან ძველი საბერძნეთის შესახებ? ძველ საბერძნეთზე რომელი სპექტაკლი, ფილმი ან ანიმაცია ახსენდებათ? როგორი იყო ბერძნული პანთეონი? რა ახსენდებათ ქალღმერთ ათენას შესახებ? რას აღნიშნავს სიტყვა "პართენონი"? რა იციან ძველი ბერძნული ხელოვნების შესახებ? მასწავლებელი მოსწავლეებს პრეზენტაციის დახმარებით პართენონის 3D რეკონსტრუქციის ვიდეოს აჩვენებს. ვიდეოს ნახვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს პართენონის აღწერას სთხოვს. აღწერისას მასწავლებელმა ბავშვებს ტაძრის არქიტექტურულ თავისებურებებზე ყურადღება უნდა გაუმახვილოს. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა პართენონის მაგალითზე განაზოგადოს ბერძნული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ნიშნები. საუბრის დროს აქცენტი უნდა გაკეთდეს ბერძნულ სვეტებზე, სიმეტრიულობასა და არქიტექტურის გარემოსთან მიმართებაზე.

ნაბიჯი 2

საუბრის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს პრეზენტაციაში მოცემული სლაიდები, პართენონის რელიეფები, უნდა დაათვალიერებინოს. ამასთანავე, მასწავლებელმა ბავშვებს უნდა უთხრას, რომ რელიეფების ნაწილი აკროპოლისის მუზეუმის გარდა, ბრიტანეთის მუზეუმშიც ინახება. პარალელურად, მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, რომ დააკვირდნენ ფოტოებს და იმსჯელონ რელიეფების მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე. მსჯელობის შემდეგ მასწავლებელმა ყველა მოსწავლეს უნდა დაურიგოს საკითხავი მასალა (ტექსტი - "პართენონის მხატვრული და ისტორიული ღირებულება", "სავარჯიშო ტექსტის უკეთ გააზრებისთვის" და ლექსიკონი). საკითხის გააზრებისთვის საჭიროა, რომ მოსწავლეები ტექსტს დამოუკიდებლად გაეცნონ და კითხვებს წერილობით გასცენ პასუხი. კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მასწავლებელი კვლავ პრეზენტაციას უბრუნდება. ბოლო სლაიდზე განთავსებულია ვიდეო მასალის ბმულები, რომელთა დახმარებითაც ბრიტანეთისა და აკროპოლისის მუზეუმების ექსპოზიციაზე მოსწავლეებს წარმოდგენა ექმნებათ. ასევე მითითებული ბმულებით მასწავლებელმა კლასს ბრიტანეთისა და აკროპოლისის მუზეუმები 360-გრადუსიანი ხედით უნდა დაათვალიერებინოს. ონლაინ ტურების დროს მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ ორივე მუზეუმის ექსტერიერსა და ექსპოზიციაზე

ნაბიჯი 3

სადისკუსიო გაკვეთილის დაწყებამდე საჭიროა მასწავლებელმა საკითხავი მასალა (ტექსტი - "ორი ქვეყნის სადავო არტეფაქტები", ლექსიკონი და ოთხივე დანართი) ამობეჭდოს. გასათვალისწინებელია, რომ კლასი ჯგუფებად უნდა დაიყოს ამიტომ ტექსტი და ლექსიკონი 4 ჯგუფისთვის 4 ეგზემპლარად უნდა დაიბეჭდოს. დანართის შემთხვევაში კი თითო-თითო ეგზემპლარი საკმარისია. გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებელმა მოსწავლეებს აქტივობის მიზანი უნდა გააცნოს და უთხრას, რომ გაკვეთილი დისკუსიის (დებატების) ფორმატში წარიმართება. განსახილველი თემა კი შეეხება პართენონის რელიეფებს, როგორც ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობას. აქტივობის დაწყებამდე მასწავლებელმა ბავშვებს უნდა უთხრას, რომ დებატების წარმართვისთვის, პირველ რიგში, საჭიროა ოპონენტის პატივისცემა, მისი პოზიციისა და არგუმენტაციის ბოლომდე მოსმენა, გააზრება და შემდგომ საკუთარი არგუმენტების დასახელება.
სადისკუსიო საკითხი: საბერძნეთის რესპუბლიკა პართენონის რელიეფების დაბრუნებას დიდი ბრიტანეთისგან ითხოვს. დაბრუნების შემდეგ კი ნამუშევრების კონსერვაციასა და ექსპონირებას აკროპოლისის მუზეუმში გეგმავს. თუმცა დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო და ბრიტანეთის მუზეუმი არტეფაქტების დაბრუნებაზე უკვე წლებია უარს აცხადებენ. მოსწავლეების დავალებაა, დისკუსიის დროს არგუმენტირებული მსჯელობით გაამყარონ არჩეული პოზიციები.

ნაბიჯი 4

თავდაპირველად, მასწავლებელმა მოსწავლეებს სადისკუსიო საკითხი და ტექსტის შინაარსი ძალიან მოკლედ უნდა გააცნოს. შემდეგ უნდა უთხრას, რომ საჭიროა ჯგუფებად დაყოფა და პოზიციების გადანაწილება. მოსწავლეები არჩევანში თავისუფლები არიან. მათი გადასაწყვეტია, რომელი ქვეყნის ან მუზეუმის პოზიციას გაიზიარებენ. მასწავლებელმა ყველა ჯგუფს უნდა დაურიგოს ტექსტი, ლექსიკონი და შესაბამისი დანართი. პირველი ჯგუფი საბერძნეთის რესპუბლიკის პოზიციას იცავს. შესაბამისად, ტექსტთან ერთად შეხვდება დანართი 1. მეორე ჯგუფი დიდი ბრიტანეთის პოზიციას უჭერს მხარეს. შესაბამისად, ტექსტთან ერთად შეხვდება დანართი 2. მესამე ჯგუფი აკროპოლისის მუზეუმის პოზიციას წარადგენს. შესაბამისად, ტექსტთან ერთად შეხვდება დანართი 3. მეოთხე ჯგუფი კი ბრიტანეთის მუზეუმის პოზიციას გაიზიარებს. შესაბამისად, ტექსტთან ერთად შეხვდება დანართი 4.
რეკომენდაცია: ჯგუფური სამუშაოს ორგანიზებულად შესრულებისთვის საჭიროა, ჯგუფებშიმოსწავლეთა რაოდენობა შვიდს არ აღემატებოდეს.

ნაბიჯი 5

პოზიციების განაწილების შემდეგ ჯგუფების მიზანია ტექსტისა და დანართის გაცნობა. მოსწავლეებს ტექსტის გააზრებაში დანართში წარმოდგენილ კითხვებზე პასუხების გაცემაც დაეხმარებათ. ამის შემდეგ მოსწავლეებმა ჯგუფის შიგნით საკითხის განხილვა და მსჯელობა უნდა დაიწყონ. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა შეახსენოს, რომ მსჯელობის დროს ყველაზე მნიშვნელოვანია ოპონენტი ჯგუფის პოზიციის არგუმენტირებულად გაბათილება. მოსწავლეებს ჯგუფებში სამუშაოდ 15 წთ. აქვთ. ჯგუფური მუშაობის დროს, საჭიროებისამებრ, მასწავლებელს შეუძლია ფასილიტატორის ფუნქცია იტვირთოს და გზამკვლევში წარმოდგენილ საკითხავ მასალაზე დაყრდნობით მოსწავლეებს არგუმენტების მოძებნასა და აზრის ჩამოყალიბებაში დაეხმაროს. გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოებსა და მუზეუმებს საერთო პოზიცია აქვთ. ამიტომ ჯგუფური მუშაობის დასასრულს, დებატების დაწყებამდე, მნიშვნელოვანია, რომ 5 წთ. სახელმწიფოებისა და მუზეუმების ჯგუფების პოზიციების შეჯერებას დაეთმოს, რათა დისკუსიის დროს არგუმენტირებული მსჯელობა თანმიმდევრულად წარიმართოს.

ნაბიჯი 6

სახელმწიფოებისა და მუზეუმების ჯგუფების პოზიციების შეჯერების შემდეგ დებატები იწყება. დისკუსიის დაწყებამდე მასწავლებელმა მოსწავლეებს კიდევ ერთხელ უნდა შეახსენოს, რომ დებატების დროს მნიშვნელოვანია ოპონენტის პატივისცემა, მისი პოზიციისა და არგუმენტაციის ბოლომდე მოსმენა, გააზრება და შემდგომ საკუთარი არგუმენტების დასახელება. მასწავლებელმა მოსწავლეებს ასევე უნდა უთხრას, რომ დებატების დროს მთავარია არგუმენტირებული მსჯელობა და არა ის, თუ ბოლოს ვინ დარჩება გამარჯვებული.
დებატების დაწყებამდე მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფებმა აირჩიონ თითო-თითო ადამიანი ქვეყნებისა და მუზეუმების ჯგუფებიდან, რომლებიც თავიანთი ჯგუფების პოზიციებს გააჟღერებენ. თუმცა დებატების დროს მნიშვნელოვანია, რომ არგუმენტისა თუ პოზიციის გამომხატველი მოსწავლე მუდმივად ერთი და იგივე პიროვნება არ იყოს. ეს ნიშნავს, რომ ჯგუფის ყველა წევრს უნდა მიეცეს საშუალება გახდეს სპიკერი.

ნაბიჯი 7

გაკვეთილის დარჩენილი დრო სრულად დებატებს დაეთმობა. დებატებს საბერძნეთის რესპუბლიკისა და აკროპოლისის მუზეუმის პოზიციების დამცველი ჯგუფები იწყებენ. სპიკერები თავიანთი ჯგუფების პოზიციასა და არგუმენტაციას წარადგენენ. ოპონენტების მოსმენის შემდეგ კი დიდი ბრიტანეთისა და ბრიტანეთის მუზეუმის ჯგუფები საკუთარ პოზიციასა და არგუმენტებს დაასახელებენ. დებატები ცოცხალი პროცესი უნდა იყოს, მაგრამ გაკვეთილი ხმაურში არ უნდა გადაიზარდოს. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა რაც შეიძლება მეტი არგუმენტი მოიყვანონ თავიანთი პოზიციების გასამყარებლად და ამავდროულად, დაიცვან დებატების ეტიკეტი. ამ შემთხვევაშიც მასწავლებელს ფასილიტატორის ფუნქცია ენიჭება.

ნაბიჯი 8

გაკვეთილის მიწურულს მასწავლებელი მოსწავლეებს მადლობას უხდის შესრულებული სამუშაოსთვის და საშინაო დავალებას აძლევს. დავალება ასეთია: მოსწავლეებმა პართენონის რელიეფების, "ელგინის მარმარილოების", შესახებ გამოფენის კონცეფცია უნდა მოიფიქრონ. კონცეფციის მოფიქრებისა და ჩამოყალიბების დროს მოსწავლეებმა სადისკუსიო გაკვეთილზე მიღებული გამოცდილება და შეძენილი ცოდნა უნდა გამოიყენონ. მოსწავლეების მთავარი ამოცანაა, მოუხმონ ფანტაზიას და მოიფიქრონ გამოფენის ისეთი კონცეფცია, რა დროსაც საბერძნეთისა და დიდი ბრიტანეთის მხარეებს კომპრომისზე წასვლა მოუწევთ. მაყურებლისთვის გამოფენის დათვალიერება კი საინტერესო გამოცდილება აღმოჩნდება. მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ, თუ სად, როგორ, რა ფორმითა და რა იდეით შეიძლება "ელგინის მარმარილოების" შესახებ გამოფენის მოწყობა.

ნაბიჯი 9

მოსწავლეებთან მომდევნო შეხვედრისას მასწავლებელმა წინა გაკვეთილი უნდა შეაჯამოს და ბავშვებს განმავითარებელი შეფასება მისცეს. მასწავლებელი ვალდებულია, ყველა ის მოსწავლე, რომელმაც დებატების დროს სუსტი არგუმენტი მოიყვანა ან არ დაიცვა ეტიკეტი, "სენდვიჩის მეთოდის" გამოყენებით შეაფასოს. შეფასება უნდა დაიწყოს პოზიტიური კომენტარით, შემდეგ მოსწავლეს პრობლემაზე მიუთითოს, მოგვარების მიზნით რეკომენდაცია/ რჩევა მისცეს და შეფასება ასევე პოზიტიური უკუკავშირით დაასრულოს. ამავდროულად, მოსწავლეებმა, რომლებმაც წარმატებით გაართვეს თავი დავალებას, მასწავლებელმა პოზიტიური კომენტარის სახით უნდა აღნიშნოს, რატომ იყო მათ მიერ შესრულებული დავალება მართებული.
შეფასების შემდეგ მასწავლებელი საშინაო დავალების წარდგენას სთხოვს მოსწავლეებს. მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ თავიანთი საგამოფენო კონცეფციების შესახებ. იდეებზე საუბარს შესაძლებელია, კლასში მსჯელობა მოჰყვეს. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელმა მოსწავლეების დავალებები ასევე "სენდვიჩის მეთოდის" გამოყენებით უნდა შეაფასოს.

საკითხავი მასალა მასწავლებლისთვის

ქვემოთ მოცემული ტექსტები სახელმწიფოებისა და მუზეუმების პოზიციებს გამოხატავს. ჯგუფური მუშაობის დროს მასწავლებელს შეუძლია ფასილიტატორის ფუნქცია იტვირთოს და მოცემულ ტექსტებზე დაყრდნობით მოსწავლეებს არგუმენტების მოძებნასა და აზრის ჩამოყალიბებაში დაეხმაროს.

სახელმწიფოების პოზიციები:

საბერძნეთის რესპუბლიკის პოზიცია: ქვეყანა ითხოვს არტეფაქტების უკან დაბრუნებას,რადგანრელიეფებისაბერძნეთშიშეიქმნადადღეს სახელმწიფოს კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს[1]. ბერძნებისთვის პართენონი უპირველესად არის მათი კულტურული იდენტობის ნაწილი, ხოლო შემდგომ მსოფლიოკულტურულიმემკვიდრეობა.ამასთანავე,ლორდი

ელგინის ელჩობის დროს საბერძნეთი ოკუპირებული ქვეყანა იყო. შესაბამისად, თანამედროვე ბერძნების წინაპრებს არტეფაქტების გასხვისებაზე გადაწყვეტილება არ მიუღიათ. ამიტომაც მათი მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენით არის განმსჭვალული[2]. დიდი ბრიტანეთის მხარეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მყარი არგუმენტი, მაგალითად, კონკრეტული ისტორიული საბუთი, რომელიც ყველანაირ ეჭვს გააქარწყლებდა. შესაბამისად, ამბის მორალური მხარე და ისტორიული სიმართლე ბერძნების სასარგებლოდ მეტყველებს. ამიტომ სახელმწიფოს პოზიცია უცვლელია. საბერძნეთის რესპუბლიკა დიდი ბრიტანეთისგან რელიეფების დაბრუნებას ითხოვს.

---

[1] https://melinamercourifoundation.com/en/unesco-in-mexico-july-29-1982/
[2] იქვე;

დიდი ბრიტანეთის პოზიცია:

ლორდმა ელგინმა ძველი ბერძნული ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ნიმუშები მოსალოდნელ განადგურებას გადაარჩინა. ამავე დროს, არსებობს დიდი ბრიტანეთის პარლამენტის საგამოძიებო კომისიის დასკვნა, რომელმაც ლეგალურად ცნო არტეფაქტებზე ელგინის უფლებამოსილება[3]. ამიტომ დიდ ბრიტანეთს ყოფილი ელჩის ქმედებაში ეჭვი არ შეაქვს. ამასთანავე, არტეფაქტების საბერძნეთში დაბრუნება არ ნიშნავს პართენონის შენობის აღდგენა-რესტავრაციას, რადგან რელიეფების დიდი ნაწილი დაკარგულია ან განადგურებულია. არსებული არტეფაქტების დაცვა შესაძლებელია მხოლოდ მუზეუმებში. ამ თვალსაზრისით უკვე საუკუნეზე მეტია ბრიტანეთის მუზეუმში პართენონის რელიეფების კონსერვაციისთვის და ექსპონირებისთვის საუკეთესო პირობები არის შექმნილი[4].

მუზეუმების პოზიციები:

აკროპოლისის მუზეუმის პოზიცია:

პართენონის გადარჩენილი რელიეფები არის საბერძნეთის ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები. შესაბამისად, არტეფაქტები იმ ქვეყნის მუზეუმში უნდა იყოს წარმოდგენილი, სადაც ისინი შეიქმნა. საბერძნეთს, აკროპოლისის მუზეუმის სახით, 2009 წლიდან აქვს თანამედროვე ინფრასტრუქტურა, რომლითაც შესაძლებელია არტეფაქტების დაცვა და ექსპონირება[5]. ამასთანავე, მნიშვნელოვანია კლიმატური პირობების გათვალისწინება. რელიეფები ატიკის ცის ქვეშ მდგარი შენობის ფასადის შესამკობად შეიქმნა[6]. შესაბამისად, ლონდონის წვიმიანი დღეები და მოღუშული ცა არ არის მათთვის შესაფერისი. ოდესღაც, მზის ბუნებრივი განათება რელიეფებს განსაკუთრებულ მხატვრულ ეფექტს სძენდა. არტეფაქტების დაბრუნების შემთხვევაში რელიეფები პართენონის ფასადზე ვეღარ განთავსდება, მაგრამმათი გამოფენა შესაძლებელია, აკროპოლისის მუზეუმის არქიტექტურის მთავარი ღირსების – ბუნებრივი განათების ფონზე, რაც არტეფაქტებს ორგანულ გარემოში დააბრუნებს [7].

ბრიტანეთის მუზეუმის პოზიცია:

ბრიტანეთის მუზეუმში არტეფაქტების განთავსებამ ხელი შეუწყო ბერძნული კულტურის მსოფლიო მასშტაბით წარმოდგენას. მუზეუმი პართენონის რელიეფებს გეოგრაფიული და პოლიტიკური საზღვრების მიღმა განიხილავს. არტეფაქტები ბრიტანეთის მუზეუმში ბერძნულ ცივილიზაციას მსოფლიო ისტორიის კონტექსტში წარმოადგენს, მაშინ როცა აკროპოლისის მუზეუმის კოლექცია ეროვნულ კონტექსტში განიხილება[8]. აკროპოლისის მუზეუმი დამთვალიერებელს აჩვენებს ქალაქის ისტორიასა და კულტურას მაშინ, როცა ბრიტანეთის მუზეუმში პართენონის რელიეფების გარდა, წარმოდგენილია ეგვიპტისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნების ნიმუშები, რაც მაყურებელს ფართო კულტურულ კონტექსტს სთავაზობს[9]. მუზეუმი პართენონის ფრიზებს, ისტორიული და მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით, მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობად განიხილავს. ბრიტანეთის მუზეუმი 1753 წელს დაარსდა და მსოფლიოში პირველ სამუზეუმო სივრცედ მიიჩნევა. შესაბამისად, მუზეუმს აქვს ძალიან დიდი გამოცდილება შექმნას საუკეთესო პირობები რელიეფების კონსერვაციისთვისა და ექსპონირებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://melinamercourifoundation.com/en/unesco-in-mexico-july-29-1982/
2. https://www.britishmuseum.org/about-us/british-museum-story/contested-objects-collection/parthenon-sculptures
3. https://www.greece.org/blogs/marbles/?page_id=397

ონლაინ გამოცემა AMPS, James M. Beresford, Museum of Light: The New Acropolis Museum and the Campaign to

[3]https://www.britishmuseum.org/about-us/british-museum-story/contested-objects-collection/parthenon-sculptures

[4] იქვე;

[5] https://www.greece.org/blogs/marbles/?page_id=397

[6] https://melinamercourifoundation.com/en/unesco-in-mexico-july-29-1982/

[7] ონლაინ გამოცემა AMPS, James M. Beresford, Museum of Light:The New Acropolis Museum and the Campaign to Repatriate the Elgin Marbles, 2015 წ.N1, გვ. 6

[8]https://www.britishmuseum.org/about-us/british-museum-story/contested-objects-collection/parthenon-sculptures/parthenon

[9] იქვე;